ეკატე თოფურიას პირადი ფონდი

~~32~~ 27

ფონდი 287 აღწერა 1 საქმე 27
Фонд опись ед. хр.

ფონდი 287 აღწერა 1 საქმე 27
Фонд опись ед. хр.

დასკანირებულია 6

მუდმივად შესანახი
ПОСТОЯННОГО ХРАНЕНИЯ

1ვ.

იჩენენ

იმ საღამოს ნოჯიხევიდან ხობში ვბრუნდებოდით. ზამთრის სუსხიანი ამინდი იდგა. ყინვით გათოშილ სახეებში ქარი გვიბერავდა. მე დუმილით მივყვებოდი ჩემს თანამგზავრს — ხობის განათლების განყოფილების ინსპექტორს ამხ. გ. ჩახვაძეს და ვფიქრობდი ქვემო ქვალონისა და ნოჯიხევის რვაწლიან სკოლებში მიღებულ შთაბეჭდილებებზე.

ნოჯიხევი! რა ლამაზი და მდიდარი სოფელია, ხელისგულივით გაშლილი, მჭიდროდ დასახლებული. მაგრამ გული მაინც მწყდება: სასოფლო საბჭოსა და კოლმეურნეობის თავმჯდომარეებს ვერ შევხვდი, კარგი იყო ჩვენთან ერთად ისინიც დასწრებოდნენ მესამე გაკვეთილს მეოთხე კლასში. როგორ ჰქროდა ყინვიანი ქარი საკლასო ოთახში! ჰქროდა კედლებიდან, ნახევრად ჩამოგდებულ კარიდან, იატაკიდან. სიცივით აკანკალებული მოსწავლეები ფეხებს აბაკუნებდნენ. მასწავლებელიც ხშირად ისრესდა ხელებს. უარესი უხერხულობა ვიგრძენით მესამე კლასში, პირველში და, საერთოდ, მთელ სკოლაში. ძველთაძველი ხის შენობაა, ნახევრად წაფერდებული, ალაგ-ალაგ ფარღალალა, რა ვთქვათ ასეთ პირობებში ჩატარებული გაკვეთილის ხარისხზე?!

და რა გაუძნელდა ამ სოფელს?.. თითო ღერი ფიცრის შეგროვება? ვინ დაიზარებდა ამას? რომელი მშრომელი იტყოდა უარს ორი-სამი დღე წახმარებოდა საერთო საქმეს, რათა მის შვილს ზამთარშიც ნორმალურ პირობებში ესწავლა? არავინ, რომ მონდომება, თაოსნობა გამოეჩინათ...

ამ ფიქრებში მდინარესაც მივადექით. ხობისწყალი ხმაურით მიარხევდა ტალღებს. საღამოს ბინდ-ბუნდში უზარმაზარ მთად მოჩანდა პატარა ურთა—თავისუფლებისათვის მებრძოლთა საიმედო თავშესაფარი ძველად. ბორანზე ასვლა ერთმა ხანშესულმა კაცმა დაგვასწრო. ეტყობოდა, სასწრაფო საქმეზე მიიჩქაროდა ამ ქარყინვაში. მებორნე და უცნობი თანასოფლელები აღმოჩნდნენ, ერთი კოლმეურნეობის წევრნი. მათ შორის მალე საინტერესო საუბარი გაიმართა.

— სად მიდიხარ, სანდრო, რაზე შეწუხებულხარ? — კითხა მებორნემ უცნობს.

— ჩვენ ბუნებას ვიმორჩილებთ, რათა უხვი მოსავალი მოვიყვანოთ, და განა ამინდი შემაჩერებს, რომ ჩემი შვილის სწავლის ამბავი შევიტყო?! სკოლაში მივდივარ, მშობლების კრებაა.

— ეხ, რა დროს მომწევია მორიგეობა!—თქვა მებორნემ. — მეც წამოვიდოდი, საინტერესოა, ნახევარი წლის ამბავს გეტყვიან, ალბათ...

— აბა, ხუმრობა საქმეა? წელს ამთავრებს ვახტანგი. უნდა ვიზრუნო, დავეხმარო...

შესანიშნავი მაგალითია, საგულისხმო, საინტერესო. მიდის, მიიჩქარის საკოლმეურნეო მინდვრებიდან დაბრუნებული ადამიანი სკოლისაკენ, რათა გაიგოს, როგორ სწავლობს, როგორ იზრდება, რა წარმატებებს აღწევს მისი შვილი. არც ქარ-ყინვა აკავებს, არც შორი მანძილი. ამაშია სწორედ პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, რომელიც ყოველ შეგნებულ მშობელს უნდა ჰქონდეს.

იმ ღამეს ხობის საშუალო სკოლის კლუბში გვიანობამდე ენთო ილიჩის ნათურა. ხალხით გაჭედილ დარბაზში დიდი ინტერესით ისმენდნენ სკოლის დირექტორის ამხ. ვ. ირემაძის მოხსენებას სასწავლო წლის პირველ ნახევრის შედეგებზე.

ხშირად იკრიბებიან ასე ერთსულოვნად ამ სკოლის მოსწავლეთა მშობ- [illegible] თათბირობენ, არკვევენ, ვინ, რომელი მშობელი იჩენს გულგრილობას სკოლის მიმართ, ვისი შვილი ჩამორჩება სწავლაში, და ერთიანი დარაზმულობით იბრძვიან სკოლაში სწავლების ნორმალური პირობების შექმნისათვის. ეს ყოველწლიურად ემჩნევა ამ სკოლას. ავიღოთ თუნდაც ასეთი ფაქტი. 1941 წელს სკოლის ძველი შენობა დაიწვა. მალე სამამულო ომიც გაჩაღდა. მაგრამ სკოლაზე ზრუნვა ხობის მშრომელებს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ. 1944 წელს რაიონის ცენტრში წამოიმართა ორსართულიანი აგურის შენობა, რომელიც დღეს ამაყად გასცქერის ხობისწყლის ნაპირებზე გაშლილ უხმოსავლიან საკოლმეურნეო მინდვრებს. ამის შემდეგ დღითი-დღე უფრო და უფრო მტკიცე ხდება სკოლის მატერიალური ბაზა. ახლა მას აქვს მდიდარი და კეთილმოწყობილი კაბინეტები; ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის, გეოგრაფიის, ვრცელი კლუბი, პიონერული და კომკავშირული ოთახი, ბიბლიოთეკა, სპორტული მოედანი.

სკოლის პედაგოგიურ კოლექტივსა და მშობელთა შორის საღი ურთიერთგაგება და მჭიდრო დამოკიდებულება არსებობს. ეს ხელს უწყობს ნაკლოვანებათა დროზე გამოსწორებას. კლასის ხელმძღვანელის გამოჩენა მოსწავლის ოჯახში აქ დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა, რასაც გარკვეული შედეგი უნდა მოყვეს. თითოეულმა მშობელმა კარგად იცის თავისი როლი და მოვალეობა, იცის როგორ ადევნოს თვალყური მოსწავლის დამოუკიდებელ მუშაობას წიგნზე, როგორ განტვირთოს იგი ზედმეტი და ხელისშემშლელი საოჯახო საქმეებისაგან. საშინაო დავალებათა შესრულებისადმი სისტემატურმა კონტროლმა და ამ დავალებათა რაციონალურად განაწილებამ განამტკიცა სკოლაში მოსწავლეთა დისციპლინა და საგრძნობლად აამაღლა მათი ცოდნის დონე. ეს იგრძნობა გაკვეთი[illegible].

ჩვენ მასწავლებელ შ. კალანდიას დავესწარით ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე რამდენიმე კლასში (VII, VIII, X). სასიამოვნო იყო ამ გაკვეთილების მოსმენა უმთავრესად იმ მხრივ, რომ იგი კონკრეტულ და ნათელ მასალას იძლეოდა საერთოდ სკოლის მთელი პედაგოგიური კოლექტივის მუშაობის დახასიათებისათვის. ყოველი მასწავლებლის მუშაობაში იგრძნობა აქ ლტოლვა მაღალი მაჩვენებლის მიღწევისაკენ, ზრუნვა თავისი საგნის სწავლების ხარისხის დღითიდღე გაუმჯობესებისა და საკუთარი თეორიულ-პედაგოგიური, იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებისათვის. სწორედ ამას ავლენს სკოლას მშობელთა საზოგადოებრიობის ერთსულოვანი დარაზმულობა და შემჭიდროება.

ამხ. შ. კალანდია ომგადახდილი მასწავლებელია. მის სახეზე ახლაც აღბეჭდილია ბრძოლის ფრონტზე მიღებულ მძიმე ჭრილობათა კვალი... განსაკუთრებული წესრიგი და დისციპლინა სუფევს მის გაკვეთილებზე. მის ზომიერ, მიზანდასახულ, ლაკონურ სიტყვებს კლასში დიდი დამაჯერებლობის ძალა ენიჭება. ამ სიტყვების მიღმა დგას თავისი საგნის ღრმად მცოდნე მასწავლებელი, რომელიც საკმაოდ ფლობს ცალკეულ კლასებში ლიტერატურის სწავლების მეთოდებს.

ბევრგან, მასწავლებლები ვერ ახერხებენ გაკვეთილის პროცესში შეამოწმონ შინ მიცემულ დავალებათა ხარისხი. ამის გამო საშინაო დავალებანი მოსწავლეთათვის ხშირ შემთხვევაში ფორმალური, უინტერესო, მოსაბეზრებელი ხდება. ამხ. შ. კალანდია ყოველდღიურად აძლევს საშინაო დავალებებს თავისი კლასის მოსწავლეებს და ყოველი მოსწავლე მას განსაკუთრებული სიფაქიზით, დაკვირვებით, ხალისით ასრულებს. ამხ. კალანდიას ამისათვის აქვს სპეციალური სააღრიც- კვეულ დროს უთმობს საშინაო დავალებათა გასინჯვას. ჩამოივლის ყველა მერხს, ყველას ნაწერს გადახედავს; როცა ერთის ნამუშევარში შეცდომას პოულობს, ეს უკვე მეორისათვის სერიოზული გაფრთხილებაა. და ყველა გრძნობს, რომ მასწავლებლის შენიშვნა ფუჭად არ ჩაივლის. მას თავისი წონა აქვს, როცა საქმე მიდგება ნიშნის დაწერაზე, ცოდნის შეფასებაზე. ამიტომ იდგა დარცხვენით მთელი კლასის წინაშე მეათეკლასელი ნ., რომელსაც — ეს პირველი შემთხვევა იყო — საშინაო დავალების შესრულება ვერ მოესწრო.

— დაიმახსოვრე დღევანდელი დღე. თუ კვლავ ასე მოიქცევი, კლასი იმსჯელებს შენზე—მიმართა მასწავლებელმა მოსწავლეს.

კლასი იმსჯელებს!—ეს იმას ნიშნავს, რომ კლასი გაკიცხავს მასწავლებლის დავალების შეუსრულებლობისათვის, გაკიცხავენ, მაშასადამე, — ჩამორჩა. ასეა შერწყმული სწავლების მთლიან კომპლექსში სასწავლო-აღმზრდელობითი, კომკავშირულ-პიონერული ორგანიზაციების მუშაობა სკოლაში.

ამის თვალსაჩინო შედეგები მოახსენა სწორედ იმ დღეს მშობელთა კრებას სკოლის დირექტორმა. გასული სასწავლო წლის ამავე პერიოდისათვის 130 მოსწავლე ჩამორჩებოდა სწავლაში. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მოსწავლეთა აკადემიური წარმატების დონე საგრძნობლად ამაღლდა. 48 მეორეწლიანისაგან ასწრებს 40. მოსწავლეთა ნამდვილი ცოდნა სავსებით გამოხატავს სკოლაში გეგმიანად გაშლილ პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის რეალურ შედეგებს.

მაგრამ მშობელთა კრება მაინც არ დააკმაყოფილა მიღწეულმა. 450 მოსწავლისაგან ჯერ კიდევ ჩამორჩება 81. რატომ? რა უშლით ხელს?—კრების საერთო აზრი გამოხატა მშობელმა ნ. იოსავამ. მან თქვა:

იზრდება სოციალისტური შრომის გმირების რაოდენობა. ყოველწლიურად იზრდება და ძლიერდება ჩვენი ქვეყანა. ჩანს, ასევე იზრდება სწავლის მაჩვენებლები ჩვენს სკოლაშიც, მაგრამ საკმარისია თუ არა ეს მაჩვენებლები?

— არა!—იყო კრების ერთსულოვანი ამოძახილი.

— დიახ. არა! გამოგვიყენეთ, დაგვიხმარეთ, მეტი მოგვთხოვეთ ჩვენ, მშობლებს, პატივცემულო მასწავლებლებო! თქვენ კი ასწავლეთ, ასწავლეთ ისე, რომ ხობის საშუალო სკოლამ ყოველთვის ისახელოს თავი რაიონში, რესპუბლიკაში...

გასულ წელს მართლაც ისახელა თავი ამ სკოლამ. საქართველოს ალკკ მე-17 ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში 1948 წლის 27 დეკემბერს ამხ. კ. ნ. ჩარკვიანი ამბობდა: „მშვენიერ შთაბეჭდილებას სტოვებს აგრეთვე ხობის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულის კარლო ცქიტიას წერითი სამუშაო მაქსიმ გორკის რომანის „დედის“ მიხედვით“... უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე ამ სკოლის კურსდამთავრებულნი საფუძვლიან ცოდნასა და მომზადებას ამჟღავნებენ; ეს ტრადიცია უნდა გაგრძელდეს, გაძლიერდეს. ასეთი იყო მშობელთა კრების ერთსულოვანი გადაწყვეტილება.

ამ სკოლის მაგალითზე რაიონში უფრო ფართოდ უნდა დაინერგოს სკოლის მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში მშობელთა აქტიური მონაწილეობის მისაბაძი პრაქტიკა. მაშინ ნოჯიხევის სკოლაც მოწინავეთა რიგებში ჩადგება, და თვით ნოჯიხევიც ამაღლდება, უფრო დაფასდება.

აკ. თოფურია

ხობი, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი

1949
სახალხო განათლება
№ 11-12

საფუძვლების სწავლების მეთოდიკა“ პირველი ქართული გამოცემაა, რომელიც ეხება საშუალო სკოლაში „დარვინიზმის საფუძვლების“ სწავლების საკითხებს. ის ამასთანავე პირველი ნაბიჯია მიჩურინული მოძღვრების პროპაგანდისათვის სასკოლო ბუნებისმეტყველების კურსში.

წიგნის მცირე მოცულობის მიუხედავად, ავტორს მაინც მოუხერხებია მასში „დარვინიზმის საფუძვლების“ სწავლებასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი საკითხის გაშუქება. ავტორს გათვალისწინებული აქვს მასწავლებელი საკითხების გადაჭრამდე მიიყვანოს მეთოდურად მარჯვე გზით, მეცნიერული სიზუსტით გადაწყვიტონ ისინი და სწავლების პროცესს იდეურად სწორი მიმართულება მისცეს.

აღსანიშნავია, რომ წიგნი გამოსულია ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის 1948 წ. აგვისტოს ცნობილ სესიამდე და ძირითადად უპასუხებს სესიის შედეგებთან დაკავშირებით სკოლის წინაშე დასახულ ამოცანებს.

წიგნის პირველი ნაწილი მიძღვნილია საბჭოთა სკოლაში „დარვინიზმის საფუძვლების“ კურსის სწავლების ზოგადი საკითხებისადმი. ამ ნაწილში სავსებით სწორადაა გადმოცემული აღნიშნული სასწავლო დისციპლინის სწავლების მიზნები და ამოცანები საშუალო სკოლაში. დასმულია ამოცანა, რომ „დარვინიზმის საფუძვლების“ სწავლებამ ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის საქმეს, აღზარდოს ბუნების განვითარების კანონებსდაუფლებული და ბუნების გარდაქმნას მიჩურინული თეორიით შეიარაღებული ახალგაზრდობა. აქ დარვინიზმი წარმოდგენილია არა ვიწრო მნიშვნელობით, არა მისი პირვანდელი სახით, ძველი გაგებით, არამედ ფართო მნიშვნელობით, განვითარებული შემოქმედებითი დარვინიზმის სახით, მისი თანამედროვე გაგებით.

სტაბილური პროგრამის შესაბამისად წიგნში ავტორს განხილული აქვს ექვსი თემა. თემების დამუშავებისას ავტორი იძლევა: „თემის მიზანდასახულებას“, „თემის აგეგმვას“ და „მეთოდიკურ მითითებებს თემისათვის“.

„თემის მიზანდასახულება“ არკვევს, თუ რა

შესწავლა, როგორი უნდა იყოს მისი სწავლების იდეური მხარე, „თემის აგეგმვაში“ მოხაზულია ცოდნის ის მოცულობა, რაც ამ თემის ირგვლივ უნდა მიეცეს მოსწავლეებს. აქვე დადგენილია თემის ფარგლებში ცალკეულ საკითხთა შესწავლის თანმიმდევრობა, პედაგოგიურ მოთხოვნათა დაცვის გათვალისწინებით. „მეთოდიკურ მითითებებში თემისათვის“ ავტორს ნაჩვენები აქვს, თუ როგორ და საიდან უნდა მიუდგეს მასწავლებელი ცალკეული საკითხების სწავლებას, სად რა საშუალებებს მიმართოს და როდის როგორ მოიქცეს, რა ასწავლოს და როგორ ასწავლოს, რომ მოსწავლეებმა სასწავლო მასალა აითვისონ უფრო სწრაფად, უფრო მტკიცედ და საფუძვლიანად.

„მეთოდურ მითითებებში“ ზოგი საკითხი ახალია, ზოგი ძველი საკითხიც ახლებურადაა გადაჭრილი. როგორც ცნობილია, სახელმძღვანელოებსა და მეთოდურ ლიტერატურაში ლამარკის მოძღვრება ცალმხრივად შუქდებოდა, ის წარმოდგენილი იყო მხოლოდ მისი მცდარი მხარეებით; ლამარკი გამოყვანილი იყო როგორც არამეცნიერული და მანკიერი აზრების ავტორი, მისი მოძღვრება დახასიათებული იყო როგორც მცდარი და მიუღებელი. ამის შესაბამისად ასწავლიდნენ ლამარკის მოძღვრებას სკოლაშიც, არაფერს ამბობდნენ ლამარკის დამსახურებაზე ბიოლოგიური მეცნიერების წინაშე. ავტორი ხედავს „დარვინიზმის საფუძვლების კურსის სწავლების ამ ნაკლს და საჭიროდ სცნობს სწავლების დროს აღინიშნოს ლამარკის დამსახურება ევოლუციური მოძღვრების დარგში. ავტორის შეხედულებით, ამ საკითხის შესწავლისას „მასწავლებელს ნათლად უნდა ჰქონდეს გააზრებული ლამარკის შეფასება ენგელსის მიერ“, რომელიც წერს: „არც დარვინს, არც მის მიმდევრებს ბუნების მეცნიერთა წრიდან აზრად არ მოსვლიათ რაიმე მხრით დაამცირონ ლამარკის დიდი დამსახურება, სწორედ მათ ასწიეს მაღლა ლამარკი ხელახლა“ (გვ. 17).

„დარვინიზმის საფუძვლების“ სწავლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაკლს წარმოადგენდა ისიც, რომ მოსწავლეთა საგრძნობ ნაწილს არ ჰქონდა სწორი წარმოდგენა ცვალებადობისა და მემკვიდრეობითობის მოვლენებზე, ვერ ერკვეოდა ცვალებადობის არსში და მის გამომწვევ მიზეზებში. ავტორი არ იზიარებს ინდივიდუალური ცვალებადობის გამომწვევ მიზეზების ახსნაში დარვინის მიერ დაშვებულ შეცდომებს და იძლევა სწორ მითითებას ამ მიმართულებით.

ლოდ ასეთი მიდგომით ხდება მოსწავლეებისათვის გასაგები, თუ რატომ ვუწოდებთ მიჩურინულ მიმართულებას შემოქმედებითს. საბჭოთა დარვინიზმს, თავისუფალს დარვინის თეორიის შეცდომებისაგან.

პროგრამულ თემას—„დარვინიზმისათვის მებრძოლი რუსი მეცნიერები“—წიგნის ავტორი მკაფიოდ მოხაზულ და ზუსტ მიზანდასახულებას აძლევს. ეს თავი სარეცენზიო წიგნში შეტანილია არა ფორმალურად, არა როგორც წინა და მომდევნო თემების მექანიკური დაკავშირების საშუალება, არამედ როგორც დარვინიზმის კურსის აუცილებელი და შემადგენელი ნაწილი. როგორც დარვინიზმის შემდგომი განვითარება. ავტორი მიუთითებს ბიოლოგიის მასწავლებლებს გააცნონ მოსწავლეებს დიდი რუსი მეცნიერები კ. ა. ტიმირიაზევი, ი. ვ. მიჩურინი, აკად. ლისენკო და აკად. ივანოვი არა მარტო როგორც დარვინიზმის პროპაგანდისტები და დარვინის იდეების უბრალო დამცველები, არამედ როგორც ისეთი მეცნიერები, რომლებმაც განავითარეს დარვინიზმი და საფუძველი ჩაუყარეს მოძღვრებას ორგანული ბუნების გარდაქმნის შესახებ.

იმ მიზნით, რომ შუქი მოფინოს ი. ვ. მიჩურინის დამსახურებას, ავტორი მკითხველის ყურადღების ცენტრში ოსტატურად აქცევს იმ პრინციპებს, რითაც ხელმძღვანელობდა ეს დიდი ბიოლოგი ბუნების გარდაქმნის საქმეში. ავტორი წერს: „მიჩურინი ამბობდა: ჩვენ არ შეგვიძლია მოწყალებას ველოდეთ ბუნებისგანო. თუ წინეთ ამტკიცებდნენ, რომ „დედამიწაზე არსებული მცენარეული ორგანიზმები არ იცვლებიან, რომ ბუნებაზე უკეთესად ვერაფერს ვერ შექმნითო“, მიჩურინმა უარყო ეს დებულება და ამტკიცებს, რომ „ადამიანს შეუძლია და უნდა გააკეთოს ბუნებაზე უკეთესადო“ (გვ. 48). ცნობილია, რომ მიჩურინმა თავისი სიტყვა საქმედ აქცია, მან მართლაც ჩააყენა ბუნება ადამიანის სამსახურში, აიძულა ის დამორჩილებოდა ადამიანის სურვილებს, გარდაქმნილიყო ადამიანის მიზნების შესაბამისად.

წიგნს აქვს ზოგიერთი ნაკლიც.

მიუხედავად დაპირებისა, ავტორს ყველა პროგრამული თემა არა აქვს დამუშავებული ერთნაირი სქემით, საკითხისადმი ერთნაირი მიდგომით. თემას „სიცოცხლის წარმოშობა და განვითარება დედამიწაზე“ თან არ ახლავს „მიზანდასახულებისა“ და „თემის აგეგმვის“ გაშუქე-

კარგია, რომ ყოველი თემის „მეთოდურ მითითებას“ თან ახლავს ამავე თემის დამუშავებისათვის საჭირო ლიტერატურის სია. ლიტერატურა, რაც აქ დასახელებულია, სწორადაა შერჩეული (გარდა პროფ. ა. ა. პარამონოვის „დარვინიზმის კურსისა“), ხელმისაწვდომია და თემის მიზანდასახულებისათვის შესაფერისია. მაგრამ ის ცოტაა მასწავლებლისათვის. მისთვის მეტია საჭირო, რამდენადაც მას მეტი მოეთხოვება. ეს სია უფრო უნდა გამდიდრდეს მარქსიზმის კლასიკოსთა ნაშრომებით და მასში ფართო ადგილი უნდა დაეთმოს ი. მეჩნიკოვის, ა. და ვ. კოვალევსკების, ი. ვ. მიჩურინის, ტ. დ. ლისენკოს და სხვათა შრომებს.

უკეთესი იქნებოდა თემებთან დაკავშირებით „ხელსაწყოთა დასახელებას“ მისცემოდა უფრო კონკრეტული სახე. აქ საჭირო იყო დასახელებულიყო არა ხელსაწყოთა სახეები, არამედ კონკრეტული საგნები—თვითონ ხელსაწყოები, როცა ვასახელებთ „გარეულ და კულტურულ მცენარეთა ტაბულებს“ (გვ. 31), უფრო პრაქტიკული იქნებოდა გვეჩვენებინა, რომელ ტაბულას ვასახელებთ. კერძოდ, უნდა დასახელებულიყო, რომელი მცენარის ტაბულის გამოყენება იქნებოდა უფრო მიზანშეწონილი და მეთოდურად სწორი.

ცნობილია, რომ „დარვინიზმის საფუძვლების“ კურსის სწავლების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს დავარწმუნოთ მოსწავლე ახალგაზრდობა იმაში, რომ ცხოველები და მცენარეები იცვლებიან და ვითარდებიან, რომ ადამიანს შეუძლია გამოიწვიოს ეს ცვლილებანი, მართოს და გარდაქმნას ისინი თავის მოთხოვნილებათა შესაბამისად. ამ ამოცანის წარმატებით შესრულების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა პრაქტიკულ მუშაობას, სწავლების დაკავშირებას ცდებისა და დაკვირვებების პრაქტიკასთან, მუშაობას ცოცხალი ბუნების კუთხესა და სასკოლო მიწის ნაკვეთზე. აქედან გამომდინარე, მეთოდიკის სახელმძღვანელოში „პრაქტიკულ სამუშაოთა დასახელების“ უქონლობა უსათუოდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

საკმაოდ იგრძნობა წიგნის გადატვირთულობა. ვხვდებით ზედმეტ მასალასაც. ზოგჯერ ასეთი მასალა უფრო აუცილებელი მასალის ადგილს იჭერს და ზედმეტად ტვირთავს წიგნს. მაგალითად, უმტკივნეულოდ შეიძლებოდა ამოღებულიყო წიგნიდან: ფრენსის დარვინის მიერ გამოქვეყნებული ანკეტის ამონაწერი (გვ. 22),

გიერთ საკითხს (სახეობის წარმოქმნა, რაოდენობრივი ცვლილებების თვისობრივში გადასვლა, არსებობისათვის ბრძოლის ფორმები და სხვ.) წიგნში ადგილი ვერ უპოვნია. ზოგიერთი მასალა იმდენად შეკუმშულია, რომ მას კონსპექტის ელფერიც კი დაჰკრავს. ეს შეიძლება ითქვას „მეთოდიკის“ უკანასკნელი საკითხის—„კურსის განმეორების“ შესახებ. ეს საკითხი ისე, როგორც 73-75 გვერდებზეა მოცემული, ვერ აკმაყოფილებს მასწავლებლის მოთხოვნილებას. საჭირო იყო შესაფერისი ადგილი დათმობოდა განმეორების მოწყობის ორგანიზაციულ საკითხებს, გასამეორებელი მასალების აგეგმვას და განმეორების გაკვეთილის მეთოდიკასა და ტექნიკას, მასალის შინაარსისა და განმეორების მიზნებთან დაკავშირებით ნაჩვენები ყოფილიყო განმეორების სახეები და ფორმები, ხერხები და საშუალებანი.

მაშინ როცა განმეორების მეთოდიკის საკითხები წიგნში მეტისმეტად შეკუმშულია, შედარებით დიდი ადგილი უჭირავს ისეთ საკითხს, როგორიცაა, მაგალითად: „კვერცხი გაჩნდა უწინ თუ ქათამი“. რა თქმა უნდა, აქ ამ კითხვისთვის არც ადგილია სწორად შერჩეული და არც კითხვაა სწორად დაყენებული. თუ მხედველობაში მივიღებთ „შემკითხველის მსჯელობას“, კითხვაზე პასუხი პირდაპირ არ არის გაცემული. მართალია, ავტორი აქ ერთგვარ სიფრთხილეს იჩენს, მაგრამ მიუხედავად ამისა საკითხის ამგვარმა დაყენებამ შეიძლება მკითხველი მცდარი დებულების აღიარებამდის მიიყვანოს.

31-ე გვერდზე ხელსაწყოების დასახელებაში ნათქვამია, რომ გამოყენებულ იქნას „შინაურ ფრინველთა და ცხოველთა ტაბულები“. გამოდის, რომ ფრინველები თითქოს არ არიან ცხოველები. ამ შემთხვევაში შეცდომა ერთი სახელის მეორით შეცვლას უნდა მივაწეროთ. სიტყვა „ძუძუმწოვრები“ აქ შეცვლილია სიტყვა „ცხოველებით“, რაც ერთგვარ გაუგებრობას ქმნის.

კორექტურულ შეცდომად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ 57-ე გვერდზე ლამარკის „ზოოლოგიის ფილოსოფიის“ გამოსვლის წელი ნაცვლად „1809“-სა ნაჩვენებია „109“-ად.

ეს მცირეოდენი შენიშვნები სრულიად არ ამცირებს წიგნის პედაგოგიურ-მეთოდურ ღირებულებას. შეიძლება ითქვას, რომ ის ბიოლოგიის მასწავლებელთათვის საჭირო და სასარგებლო წიგნია.

დ. უჩანეიშვილი

---

* **ე. ვასაძე, დარვინიზმის სწავლების საფუძვლების მეთოდიკა. საქ. სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი. 1948 წ.**

თი ხელოვნებით შესრულებული ამონაქარგი ტილოზე — „შოთა რუსთაველი უძღვნის თამარ მეფეს „ვეფხის ტყაოსანს“, შესრულებული ეკატერინე თურქია-ჯაფარიძის მიერ.

კარგია აგრეთვე ვიშემირსკის მიერ შესრულებული „მოხუცი აფხაზის ტიპი“ და სამონოვის შესანიშნავი სურათი „სოხუმის ყური“.

გამოფენას დიდი ინტერესით ათვალიერებენ სოხუმის მოსწავლე ახალგაზრდები.

ნ. მიქაშავიძე

მოხსენება სკოლამდელ მუშაკთათვის

16 მარტს საღამოს 7 საათზე, პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში მეცნიერ მუშაკი ლ. ხუხუნი წაიკითხავს სკოლამდელ მუშაკთათვის მოხსენებას თემაზე „„საშენ მასალაზე შემოქმედებითი თამაშის განვითარება სკოლამდელ ასაკში“.

ახალი წიგნები

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობამ გამოსცა შემდეგი წიგნები:

ნ. მ. გიუნტერი და რ. ო. კუზმინი **უმაღლესი მათემატიკის ამოცანათა კრებული**, II ტომი. წიგნი, რომლის რედაქტორია პროფ. ამბ. რუხაძე, შეიცავს 336 გვერდს და ღირს 7 მან.

გეომეტრიის საფუძვლები (პროგრამა და მეთოდური მითითებანი), პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელთათვის. რედაქტორი პროფ. გ. ჭოღოშვილი, გვ. 168, ფასი 10 მან.

თეორიული მექანიკა (პროგრამა და მეთოდური მითითებანი), პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელთათვის. რედაქტორი მ. ჩხეტია, გვ. 114, ფასი 7 მან.

პოლიტიკური ეკონომიის პროგრამა, განკუთვნილი ტექნიკურ, პედაგოგიურ, სასოფლო-სამეურნეო, ხელოვნებათმცოდნეობის უმაღლეს სასწავლებელთათვის და სახელმწიფო უნივერსიტეტებისათვის. რედაქტორი დოც. გ. გამყრელიძე, გვ. 42, ფასი 3 მან.

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. საჯაია

რედაქციის მისამართი: თბილისი. ჯავახიშვილის ქ. № 1. ტელეფონები: 3-90-81, 3-85-48
ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტირაჟი 15.000
უე 00997

ამ საქმეში დანომრილია
В этом деле пронумеровано листов

ორი (2) ფურცელი

„02.11.93“

ყოჩელი